ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1769018

ნომერი: AR1289950

თარიღი : 27.02.2015

გაცემის თარიღი : 09.03.2015

გაცნობის თარიღი : 09.03.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვაჟა-ფშაველას გამზირი N29ა. ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახაბერი ჩიქოვანი პ/ნ 01022008598
- თბილისი თემქა XI მ/რ II კვ. კორ. 24 ბ. 3

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს. კოლხიდა კოდი: 211371530

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა
  კორექტირება
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  კორექტირება
- საჩრდილობლის მოწყობა
  კორექტირება
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  კორექტირება
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი

კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

2014წლის 24 დეკემბრის №1656615 გადაწყვეტილებით გაიცა წერილობითი თანხმობა საპროექტო მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის ფასადზე I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების, სარეკლამო აბრებისა და საჩრდილობლების მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე. ამჟამად კი წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ფოტოსურათებიდან და ასევე თქვენ მიერ მოთხოვნის ტექსტში დაფიქსირებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ აღნიშნული რეკონსტრუქციის განხორციელების მაგივრად მოხდა მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის დემონტაჟი. შესაბამისად თქვენ მიერ საკითხი არასწორად არის დაყენებული, ვინაიდან დემონტირებული შენობის რეკონსტრუქცია შეუძლებელია. აქედან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა სამსახურის მიერ შეთანხმებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების კორექტირებასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება მოთხოვნის ტექსტში დაფიქსირებულ მოთხოვნას "კედლების ხელახლა აშენება"–სთან დაკავშირებით, განგინმარტავთ, რომ აღნიშნული გულისხმობს ახალ მშენებლობას, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ მიწის ნაკვეთზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 1, (რომელიც მდებარეობს განაშენიანებული ტერიტორიის საზღვრებში და მოიცავს გამწვანებულ ტერიტორიას (მაგ. ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი და სხვა) აღნიშნულ ზონაში დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა: ა) განათების; ბ) სარწყავი სისტემის; გ) სარეკლამო ბილბორდის; დ) დეკორატიული გაფორმების ობიექტის; ე) კიბეების, გზების, ბილიკების) აღნიშნულის გათვალისწინებით ფაქტიურად განისაზღვრა ამ მიწის ნაკვეთის შემდგომი განვითარების მიზნობრივი დანიშნულება, შესაბამისად ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით აღნიშნულ ტერიტორიაზე შენობის მშენებლობას სამსახური ვერ დაეთანხმება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.